



კიკოსის მიტროპოლიტი ნიკიფორე: პატრიარქ ბართლომეოსის ცალმხრივი გადაწყვეტილება უკრაინის შესახებ საერთო მართლმადიდებლურ ერთობას საშინელი მასშტაბის განხეთქილებას უქადის



2021 წლის 16 სექტემბერს კონფერენციის – „მსოფლიო მართლმადიდებლობა: პირველობა და კრებულობა მართლმადიდებლური სწავლების შუქზე“ – სხდომაზე, რომელიც მოსკოვში ქრისტე მაცხოვრის ტაძარში გაიმართა, გააუღერდა კიკოსისა და ტილირიის მიტროპოლიტ ნიკიფორესა და ტამასოსა და ორინიის მიტროპოლიტ ესაიას საერთო მოხსენება (კვიპროსის მართლმადიდებელი ეკლესია).

მანამდე ტამასოსა და ორინიის მიტროპოლიტმა ესაიამ კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა: „თქვენო უწმინდესობავ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესნო, კონფერენციის ღრმად პატივცემულო მონაწილენო! მინდა მაძღობა გადავიხადოთ იმისათვის, რომ მოგვიწვიეთ როგორც მე, ისე ჩემი სულიერი მოძღვარი, კიკოსისა და ტილირიის მიტროპოლიტი ნიკიფორე ამ მნიშვნელოვან საღვთისმეტყველო ფორუმზე მონაწილეობის მისაღებად. ჩვენ, მიტროპოლიტ ნიკიფორესთან ერთად, გადავწყვიტეთ, წარმოვიდგინოთ საერთო მოხსენება, რომელიც ეფუძნება კიკოსის მიტროპოლიტ ნიკიფორეს არც თუ დიდი ხნის წინ გამოცემულ წიგნს, რომელიც ეძღვნება უკრაინის პრობლემის გადაჭრის საკითხს წმინდა კანონებზე დაყრდნობით. ეს წიგნი ახლახან რუსულ ენაზეც ითარგმნა... როგორც მიტროპოლიტ ნიკიფორესთვის, ისე ჩემთვის და სხვა კვიპრელი ეპისკოპოსებისთვის, სულაც არ

ყოფილა იოლი წერა, საუბარი და, საერთოდ, გამოსვლა მოცემულ თემასთან დაკავშირებით, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, გეოპოლიტიკური მოვლენები და მისგან გამომდინარე შედეგები იძულებულს ხდის კვიპროსს გაჰყვეს ევრო-ამერიკული პოლიტიკის კურსს. თუმცა ჩვენ კიდევ ვსაუბრობთ, ვწერთ და ასევე ვევედრებით უფალს განგვანათლოს, რომ სწორად ვმართოთ ქვეყნების სიტყვით, როგორც გვკარნახობს ჩვენი სამღვდელთმთავრო სინდისი, მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება ჩვენთვის ნეგატიური შედეგები მოიტანოს.

დიდხანს არ შევაჩერებ თქვენ ყურადღებას და წარმოგიდგენთ მიტროპოლიტ ნიკიფორეს ზოგიერთ შეხედულებას და იმედი მაქვს, რომ მართლმადიდებელი კვიპროსისა და რუსეთის მონაწილე და ყველა წმინდანი მეოხებას გაგვინებს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წინაშე მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობისა და ამ სერიოზული საეკლესიო პრობლემის დროულად გადაწყვეტისათვის, რომელიც არც კი უნდა წარმოშობილიყო“.

მოხსენება, რომლის ტექსტსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ, არქიმანდრიტმა სერაფიმემ (გაგრიკოვი) წაიკითხა.

მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესია დღეს უკრაინის საეკლესიო საკითხის გამო კრიზისისა და განყოფის მდგომარეობაშია. ამ საკითხის წარმოშობის მიზეზი გახდა კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ უკრაინის ეკლესიის განხეთქილებაში მყოფი სტრუქტურებისათვის თვითნებურად და არაკანონიკურად „ავტოკეფალიის“ მინიჭება, – რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც არის დედა-ეკლესია უკრაინის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

ძირითადი პრობლემა, რომლითაც ჩვენ კვლევის პროცესში ვიქნებით დაკავებული, ეს არის პასუხის ძიება კითხვაზე: სამართლიანად თუ შეცდომით მიენიჭა უკრაინას „ავტოკეფალია“?

თუმცა სანამ მოცემულ საკითხზე მსჯელობას დავიწყებდეთ, ჩვენ ვგრძნობთ აუცილებლობას, თავიდანვე განვაცხადოთ, რომ ღრმა პატივს ვცემთ და პატივს მივაგებთ კონსტანტინეპოლის წმინდა მსოფლიო საპატრიარქოს მისი უნიკალური და განუმეორებელი წვლილისათვის ერთი, წმინდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ცხოვრებაში.

როგორც მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესიის პირველი საყდრის წინამძღვარს, ყველა მსოფლიო პატრიარქს ჰქონდა, აქვს და ექნება შემდეგი კანონიკური უფლება:

1) ყველა მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის ფლობდეს საპატიო თავმჯდომარის ტიტულს წოდებით „პირველი თანასწორთა შორის“ (primus inter pares);

2) მართლმადიდებელი ეკლესიების კოორდინაციისა იმ კრიტიკულ საკითხებზე, რომლებიც მართლმადიდებელთა საერთო ინტერესების შემცველია;

3) მართლმადიდებლური კრებების ან მართლმადიდებელი წინამძღვრების სინაქსისის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებების გაცხადება და აღსრულება;

4) ავტოკეფალიისა თუ ავტონომიის მინიჭება დანარჩენი მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების მხრიდან თანხმობისა და მოწონების პირობით, – და, ბოლოს,

5) მსოფლიო პატრიარქი, როგორც მართლმადიდებელი ეკლესიის პირველი საყდრის მეთაური, წარმოადგენს როგორც კანონიკური წესრიგის, ისე მართლმადიდებლობის კრებსითი და დემოკრატიული მოწყობის (συστήμα) წარმატებული ფუნქციონირების უცვლელ მცველსა და გარანტს.

ნებისმიერი ცრუ განმარტება, ნებისმიერი მცდელობა მსოფლიო საპატრიარქოს ღირსების ზემოჩამოთვლილი პრივილეგიების გადასხვაფერებისა „ხელისუფლების პირველობასთან“ დაკავშირებით, ამახინჯებს მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიას, ანადგურებს მის კრებსით და დემოკრატიულ წყობას და შემოაქვს ერთმმართველური ხელისუფლება პაპიზმის სულისკვეთებით, მსოფლიო პატრიარქს კი აღმოსავლეთის პაპად აქცევს, რომელიც *ex cathedra* („კათედრიდან“) დაინყებს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის გაუღერებას სხვა მართლმადიდებელ წინამძღვართა აზრის გაუთვალისწინებლად. მსგავს შემთხვევებში გულგრილი ვერ დარჩება მართლმადიდებელი ეკლესიის ვერც ერთი ეპისკოპოსი. მისი ვალია – პასიური განგაში საპასუხისმგებლო ქმედებით შეცვალოს, ამაღლდეს საკუთარ თავზე და ეპისკოპოსის სინდისით იხელმძღვანელოს, უანგაროდ და უშიშრად გამოვიდეს ნებისმიერ თვითნებობასთან ბრძოლაში, თუკი ეს თვითნებობა მიმართულია მართლმადიდებელი ეკლესიის კრებსითობის წინააღმდეგ და მსოფლიო მართლმადიდებლობას განყოფის საფრთხეს უქადის.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის ცალმხრივი გადაწყვეტილება „ავტოკეფალური ეკლესიის“ სტატუსის მინიჭების შესახებ სინანულის არმქონე, ხარისხიდან დამხოვილი, ანათემას გადაცემული და ხელთდაუსხმელი ცრუ მღვდელმსახურების განხეთქილებაში მყოფი სტრუქტურისათვის და, იმავდროულად, მიტროპოლიტ ონოფრეს დაქვემდებარებაში მყოფი უკრაინის კანონიკური ეკლესიის იგნორირება, – ყოველივე ეს ქმნის ურთულეს საეკლესიო პრობლემას, რომელიც ყოველთამართლმადიდებელთა ერთობას საშინელი მასშტაბის განხეთქილებით ემუქრება.

ამ სახით, აი, უკვე 330 და მეტი წელია, ყველა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია ყოველგვარი წინააღმდეგობისა და წინაპირობის გარეშე მიიჩნევს, რომ უკრაინის ეკლესია საეკლესიო ურთიერთობაში ექვემდებარება მოსკოვის, და არა კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს.

გარდა ამისა, თავად მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა 2008 წლის 26 ივლისს უკრაინელი ხალხისადმი თავის სიტყვაში გამოთქვა იგივე საერთო საეკლესიო შეხედულება იმის თაობაზე, რომ უკრაინა მსოფლიო საპატრიარქოს მიერ გადაეცა და მას შემდეგ ექვემდებარება რუსეთის ეკლესიას.

უფრო მეტიც, მოსკოვის პატრიარქისადმი მიწერილ თავის ორ საპასუხო წერილში, მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი ცნობს მოსკოვის საპატრიარქოს მიერ კიევის ყოფილი მიტროპოლიტის – ფილარეტის როგორც საეპისკოპოსო ხარისხიდან დამხობას (1992), ისე მის ანათემირებას (1997).

ე.ი. ის აღიარებს მოსკოვის საპატრიარქოსადმი საეკლესიო დაქვემდებარების ორივე ფუნდამენტალურ უფლებას, ესენია: ხელთდასხმა და ეპისკოპოსთა გასამართლება. საეკლესიო დაქვემდებარების ამ ორივე ფუნდამენტალურ საეკლესიო უფლებას აღიარებს ასევე ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი იერონიმე, რომელმაც შემდგომში თავისი პოზიცია მსოფლიო პატრიარქის კვალდაკვალ შეიცვალა.

ვფიქრობ, ყველაზე დამაჯერებელ პასუხს კითხვაზე, თუ ვის აქვს და რა პირობით ადგილობრივი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების უფლება, თავად მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი იძლევა. 2001 წლის იანვარში ბერძნული გაზეთისათვის „ნეა ელადა“ მიცემულ ინტერვიუში მისი მტკიცების თანხმად, „ავტოკეფალია და ავტონომია ყოველ ეკლესიას ენიჭება მსოფლიო კრების გადაწყვეტილებით. რამდენადაც სხვადასხვა მიზეზის გამო შეუძლებელია მსოფლიო კრების მონვევა, ამდენად მსოფლიო საპატრიარქო, როგორც ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის კოორდინატორი, ანიჭებს ავტოკეფალიას ან ავტონომიას იმ პირობით, რომ ამას ისინი იწონებენ და ეთანხმებიან“.

კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო, საღმრთო და წმინდა კანონების თანახმად (მეორე მსოფლიო კრების მე-3 კანონი და მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონი), ფლობს „პატივის პირველობით“ აღმოსავლეთის ყველა საპატრიარქო საყდარს შორის. 1054 წლის დიდი განხეთქილების შემდეგ მსოფლიო საპატრიარქო ხდება პირველი საყდარი ერთ, წმინდა, კათლიკე და სამოციქულო მართლმადიდებელ ქრისტეს ეკლესიაში და ფლობს საპატიო თავმჯდომარეობის კანონიკურ უფლებას მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის. უფრო სპეციფიკური გაგებით, მსოფლიო კონსტანტინეპოლის პატრიარქს, როგორც „პირველს თანასწორთა შორის“ (*primus inter pares*), აქვს მსოფლიო კრებაზე თავმჯდომარეობის უფლება და, შესაბამისად – მართლმადიდებელი ეკლესიების კოორდინაციის ვალდებულება. ის ასევე უფლებამოსილია მიანიჭოს ავტოკეფალია ან ავტონომია ამა თუ იმ საეკლესიო ოლქს გარკვეული, მკაფიო და მკაცრი პირობებით, რომლებიც დადგენილია საეკლესიო გადმოცემით და თანხმობაშია მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიასა და კანონიკურ წესრიგთან. ეს პირობები იდენტურია იმათთან, რომლებითაც მიღწეულ იქნა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა თანხმობა, მართლმადიდებელთაშორისი მოსამზადებელი კომისიის სხდომებზე 1993 და 2009 წლებში, რომელიც კრეტის წმინდა და დიდი კრების (2016 წ.) მომზადების ახორციელებდა.

სამწუხაროდ, ამ საერთო გადაწყვეტილების ტექსტი არ წარუდგენიათ წმინდა და დიდ კრებაზე ქ. კოლიმბარში (კრეტა). ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ეს მოხდა რუსეთის ეკლესიის მხრიდან უარის გამო. თუმცა რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდი თავისი 2019 წლის 17 ოქტომბრის ოფიციალური

განცხადებით გვაუწყებს, რომ „სინამდვილეში ავტოკეფალიის თემა ამოღებულ იქნა კრების დღის წესრიგიდან... პატრიარქ ბართლომეოსის დაჟინებით“.

ამგვარად, უპირველეს ყოვლისა, რაც უნდა მოიმოქმედოს ეკლესიამ, რომელსაც ავტოკეფალიის მიღებას სურს, ეს არის – მთელი თავისი ქრისტიანად წოდებული სისავსის (სამღვდელოება და მრევლი) სახელით გამოხატოს ავტოკეფალურობის სურვილი და ის მსოფლიო საპატრიარქოს თხოვნის სახით განსახილველად წარუდგინოს.

რაც შეეხება სახელდობრ უკრაინის საკითხს, რომელზეც ჩვენ ახლა ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს შემდეგი. ავტოკეფალიის შესახებ თხოვნის განხილვა მსოფლიო პატრიარქს შეეძლო მხოლოდ ქვეყნის ერთი საეკლესიო სტრუქტურის მხრიდან, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ეს სტრუქტურა შეესაბამება კანონიკურ მოთხოვნებს. როგორც ყველა ჩვენგანისთვის ცნობილია, უკრაინის ერთადერთი კანონიკური ეკლესიური სტრუქტურა არის უკრაინის ავტონომიური ეკლესია, რომელსაც მეთაურობს მიტროპოლიტი ონოფრე, და რომელიც აღიარებულია ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ (უახლოეს დრომდე – მსოფლიო პატრიარქის მიერაც); ეს არის ეკლესია, რომლის წევრიცაა 90 ეპისკოპოსი, 12 500 სამრევლო, 250 მონასტერი, 5 000 მონაზონი და ათობით მილიონი მორწმუნე, რომლებიც მართლმადიდებელი უკრაინელი ხალხის დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ.

მაგრამ ამ კანონიკურ ავტონომიურ ეკლესიას, რომელიც 1686 წლიდან მოსკოვის საპატრიარქოს საეკლესიო იურისდიქციას ექვემდებარება, ავტოკეფალია არავისთვის მოუთხოვია და არც არასდროს არავისგან არანაირი ავტოკეფალურობა არ მიუღია.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალურობას ესწრაფვოდა, ითხოვდა და მიიღო ორმა განხეთქილებაში მყოფმა სტრუქტურამ.

მართალი გითხრათ, შეუძლებელია, გაიგო, თუ როგორ მიანიჭა ამჯერად მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა – იმის საპირისპიროდ, რასაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ, საკითხის წამოჭრამდე, თვითონ ამბობდა – ცალმხრივი წესით, სხვა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების მხრიდან წინასწარი თანხმობისა და დამტკიცების გარეშე (მათ შორის რუსეთის დედა-ეკლესიის გარეშე, რომელსაც უნდა გამოყოფოდა უკრაინის ეკლესია ასეთ შემთხვევაში) ავტოკეფალურობა, თანაც არა კანონიკურ უკრაინის ეკლესიას მიტროპოლიტ ონოფრეს წინამძღვრობით, არამედ ორ განხეთქილებაში მყოფ ჯგუფს, რომლებსაც მეთაურობენ ხარისხიდან დამხობილი ფილარეტი და სამოციქულო მემკვიდრეობის არმქონე, ხელთდაუსხმელი მაკარი.

რამდენადაც მოსალოდნელი იყო, ავტოკეფალურობის წმინდა ინსტიტუტის შეურაცხყოფამ, რასაც ადგილი ჰქონდა უკრაინის შემთხვევაში, არათუ არ მიგვიყვანა სასურველ საეკლესიო პერიგებასა და ერთობამდე, არამედ პირიქით, უკრაინელ ხალხის ცხოვრებაში, რომელმაც ესოდენ მძიმე განსაცდელი გამოიარა, კიდევ უფრო მეტი შფოთი და განყოფა შემოიტანა, და ასევე ღრმა კრიზისი გამოიწვია როგორც უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში, ისე მსოფლიო მართლმადიდებლობაში.

ამდენად:

- 1) ავტოკეფალიის მინიჭება გამოთხოვილ იქნა არა საყოველთაოდ აღიარებული უკრაინის ეკლესიის მიერ, მიტროპოლიტ ონოფრეს წინამძღვრობით, არამედ განხეთქილებაში მყოფი ორი, გაცილებით მცირე ჯგუფის მიერ;
- 2) დედა-ეკლესიის როლი, როგორც უკრაინისთვის რუსეთის ეკლესიაა, სრულიად იგნორირებული და უგულვებელყოფილ იქნა;
- 3) მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი ავტოკეფალიის მინიჭებას შეუდგა სხვა მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიების წინამძღვრებთან ყოველგვარი კონტაქტისა და მოლაპარაკებების გარეშე.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც შეუძლებელია არ განვმარტოთ, – ესაა ორ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ევქარისტიული კავშირის განწყვეტა.

ზოგი მოსკოვის მართლმადიდებელ საპატრიარქოს ადანაშაულებს იმაში, რომ მან აჩქარებით, ხელოვნურად და ეკლესიოლოგიური თვალსაზრისით უსაფუძვლოდ განწყვიტა ევქარისტიული კავშირი მსოფლიო საპატრიარქოსთან, ხოლო მოგვიანებით მასთან მიმხრობილ ელადისა და ალექსანდრიის ეკლესიებთან – ან, ყოველ შემთხვევაში, იმ ეპისკოპოსებთან, რომლებიც უკრაინის ეკლესიის განხეთქილებაში მყოფი სამრევლოების კლირიკოსებთან თანამსახურებას დათანხმდნენ.

ისინი, ვინც ჩქარობენ მოსკოვის საპატრიარქოს დადანაშაულებას, არ ახსოვთ ან ცდილობენ არ გაიხსენონ, რომ ამაში მათი პირველი მასწავლებელი თავად მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი იყო. არ უნდა დაგვაზინყდეს ის პომპეზური რიტუალი ფანარიონზე, – მთელს მსოფლიოში პირდაპირი ტელეტრანსლაციით ნაჩვენები – რომელშიც მსოფლიო პატრიარქის გარდა მსოფლიო საყდრის მიტროპოლიტების სიმრავლე მონაწილეობდა, და რომელზეც ნეტარხსენებული ათენის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულე დასაჯეს მასთან ერთობის განწყვეტით – და მხოლოდ ერთადერთი მიზეზით: მარადსახსენებელმა მთავარეპისკოპოსმა გაბედა ელადის ეკლესიის იერარქთა კრების მოწვევა, რომელზეც პატრიარქის დამტკიცების გარეშე ე.წ. „ახალი მიწების“ ეპარქიაში სამი ახალი მიტროპოლიტი იქნა დაადგინა.

მოსკოვის საპატრიარქომ კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ევქარისტიული ერთობა იმის საფუძველზე განწყვიტა, რომ ამ უკანასკნელმა წმინდა კანონები დაარღვია. სახელდობრ, როგორც ეს ზემოთ დავამტკიცეთ, მსოფლიო პატრიარქი ცალმხრივად შეიჭრა უკრაინის ეკლესიის საქმეებში, რომელიც მის კანონიკურ ტერიტორიას არ წარმოადგენს, და ამ დარღვევების მწვერვალი გახდა უკრაინის

ავტოკეფალიის ტომოსის მინიჭება განხეთქილებაში მყოფი არაკანონიკური სტრუქტურებისათვის.

შესაბამისად, მოსკოვის საპატრიარქოს გადანყვეტილება, გაენყვიტა ევექარისტიული კავშირი სამ ეკლესიასთან – კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიისა და ელადის – იყო სწორი და გამართლებული: ის დაფუძნებულია წმინდა კანონებზე და თანხმობაშია საუკუნოვან საეკლესიო პრაქტიკასთან.

რაც ყველაზე მეტად გვანუხებს უკრაინის ეკლესიის საკითხის ირგვლივ მოვლენებში, ეს არის მზარდი დარწმუნებულობა იმაში, რომ საკითხი უფრო და უფრო დიდი მასშტაბის ეკლესიოლოგიური პრობლემა ხდება. მსოფლიო პატრიარქის ამბიციები ახლა უკვე მთელს ეკლესიაზე განივრცო: არსობრივად, ის პრეტენზიებს აცხადებს ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი საპატრიარქოსა და ავტოკეფალური ეკლესიის შიდა ცხოვრებაში ჩარევის უფლებაზე.

სამწუხაროდ, ახალგამოჩეკილ თეორიას იმის შესახებ, თითქოს კონსტანტინეპოლელის წინამძღვარი ყველა ეკლესიის თავია, მხარს უჭერენ და აღვივებენ მსოფლიო საყდრის უახლოესი თანამშრომლები.

ისტორიისა და წმინდა კანონების თვალსაზრისით, კათოლიკე ეკლესიაში პირველობის საკითხზე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი, ეჭვს დაუქვემდებარებელი პასუხი. თავისი ისტორიის ორი ათასწლეულის მანძილზე მართლმადიდებელ ეკლესიას არცერთ მისი ეპისკოპოსისთვის არ მიუნიჭებია ეკლესიის მეთაურის ტიტული და კომპეტენცია.

შესაბამისად, ცხადზე უცხადესია – და ეს შეიძლება დავამტკიცოთ ისტორიულად, კანონიკურად, დოგმატურად, იკონოგრაფიული ტრადიციიდან და მამათა ნაშრომებიდან – რომ არცერთ წინამძღვარს, პატრიარქს ან ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურს არ შეუძლია შეცვალოს ეკლესიის ერთადერთი შეუცვლელი თავი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე.

ეკლესიას თავის კრებსითობასა და კათოლიკეობაში არ ჰყავს სხვა თავი, გარდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეკლესიაში უმაღლეს კანონიკურ ხელისუფლებას მსოფლიო კრებები წარმოადგენს, და არა რომელიმე ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური.

უძველესი დროიდან ეკლესიაში მსოფლიო კრება მიიჩნეოდა როგორც ეკლესიის უცდომელი და უმაღლესი ინსტიტუტი და მას ეკლესიოლოგიურად ამგვარად განმარტავდნენ.

უძველესი და განუყოფელი ეკლესია, რომელსაც ღრმად აქვს გაცნობიერებული, რომ ის ქრისტეს მისტიური სხეულია, – ერთიანი, განუყოფელი, საღმრთო და კაცობრივი, ხილული და უხილავი ორგანიზმი, ერთადერთი თავით, რომელიც არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე, – მთელი თავისი საეკლესიო

მონყობა ამ ამომავალ პრინციპზე დაამყარა. ამით უძველესმა ეკლესიამ იპოვა თავისი მონყობის (πολίτευμα) ფორმა არა აბსოლუტურ მონარქიულ სისტემაში, არამედ კრებსით და კოლეგიალურში, ანუ მსოფლიო კრებაში.

ამითვე პირველ ადგილზე უპირატესად გამოვიდა ეკლესიის სულიერი და ზესოფლიური ხასიათი, და მორწმუნეებში შენარჩუნდა ცოცხალი დარწმუნებულობა იმისა, რომ ეკლესიის ჭეშმარიტი და ფაქტობრივად ერთადერთი მესაჭე – ეს თავად უფალია, ხოლო იერარქია უბრალოდ ორგანოა, რომლის ავტორიტეტით ეკლესიის მმართველობა ხორციელდება.

დაბოლოს, დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს. ერთიანი და განუყოფელი ეკლესიის დაარსების პერიოდში პაპიზმის ინსტიტუტი, როგორც უმაღლესი ხელისუფლება და მსოფლიო ეკლესიაში და ყველა ხელისუფლების წყარო – უცნობი იყო. დიდ განხეთქილებამდე ერთ და განუყოფელ ეკლესიაში, მსოფლიო კრება იყო უმაღლესი კოლეგიალური ორგანო. მმართველობის ამ კრებსითმა სისტემამ თავისი გაგრძელება პოვა მართლმადიდებლურ კათოლიკე ეკლესიაში. და ამრიგად, მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესიისა და ყველა კერძო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა დღეს არის კრებსით-იერარქიული. მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურის ეს დამახასიათებელი თვისება თავის სრულ გამართლებას და საფუძველს წმინდა წერილში პოულობს; ის ინსტიტუციონალიზირებული და ლეგალიზებულია ეკლესიის ღვთაებრივი და წმინდა კანონებით და საეკლესიო პრაქტიკით. მოციქულთაგან გადმოცემული ამ კრებსით-იერარქიული სისტემის დამხობის ყოველგვარ მცდელობას უნდა გავუქცეთ. მართლმადიდებელი ეკლესიის ორგანიზაცია დგას კრებსითობის საფუძველზე და არა აბსოლუტიზირებულ, მონარქიულ და ცენტრალიზირებულ პირველობაზე. თუ ჩვენ გვინდა ერთობა და მშვიდობა ეკლესიაში, როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო დონეზე, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მართლმადიდებელი კათოლიკე ეკლესიის მმართველობის კრებსით-იერარქიული სისტემა.